

მარიამ რუბაშვილი***„კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ
საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში“****ანოტაცია**

წინამდებარე სტატიის ფარგლებში საუბარი იქნება კერძო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, თუმცადა პრაქტიკაში საკმაოდ პრობლემურ საკითხზე, როგორცაა კრედიტის დაზღვევა. სათანადო საკანონმდებლო ბაზის არ არსებობამ ქართულ პრაქტიკაში ბევრი (მათ შორის არასწორი) შეხედულება გააჩინა, რამაც არაჯანსაღი პრაქტიკის ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი.

იქიდან გამომდინარე, რომ გერმანული სისტემა ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან მოყოლებული კრედიტის დაზღვევისადმი ერთიან მიდგომას ამკვიდრებს, როგორც ჩანს, ქართველი კანონმდებლისთვის მეტად რთულ ამოცანად იქცა ამ სტანდარტის ეროვნულ გამოწვევებთან მორგება, რაც უპირველესად აისახა კრედიტის დაზღვევის, როგორც ინსტიტუტის არასწორ გაგებასა და გამოყენებაზე.

ქართული კანონმდებლობა არ შეიცავს საბანკო კრედიტის დაზღვევასთან დაკავშირებით ზუსტ განმარტებებს, რისი მიზეზიც ბევრი ფაქტორი შეიძლება იყოს, თუმცა რეალობა ერთია - ინსტიტუტი პრაქტიკაში მოქმედებს და ფინანსური სექტორისთვის საკმაოდ მაღალი სარგებლიანობითაც ხასიათდება, თუმცადა კანონში არსებული ხარვეზები გარკვეულწილად აბრკოლებს ჯანსაღი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

სწორედ ამიტომ, საბანკოსამართლებრივი დოქტრინის განვითარებისა და ინსტიტუტის სამომავლო მოქმედებისთვის გადამწყვეტია, რომ მეცნიერული კვლევების საფუძველზე ადრეულ ეტაპზევე მოხდეს პრობლემათა სწორად იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების მყისიერი ძიება. ამრიგად, სტატიის მთავარი მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნება კვლევის სისტემური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, რითაც ერთმანეთს დაუპირისპირდება ქართული და გერმანული პრაქტიკა კრედიტის დაზღვევასთან მიმართებით.

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის ბაკალავრი.

შესავალი

ეკონომიკის სტაბილური და დინამიური განვითარება მეტწილად დამოკიდებულია ფინანსური ბაზრის საბანკო და სადაზღვევო სექტორის მდგომარეობასა და მათ ურთიერთქმედებათა ხარისხზე. ჰარმონიზებული საბანკო-სადაზღვევო ურთიერთქმედების სისტემა საბოლოო ჯამში, საშუალებას იძლევა საზოგადოებრივი კვლავწარმოების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა განხორციელდეს. გარდა ამისა, ფინანსური სექტორის ამ ორი უმნიშვნელოვანესი სეგმენტის ურთიერთქმედება ნოყიერ ნიადაგს უმზადებს ბაზარზე ფიზიკურ პირებზე ერთობლივი პროდუქტების მიწოდებას, რაც მეტად ზრდის მოსახლეობის ნდობას სექტორისადმი და უზრუნველყოფს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების დანერგვას ეროვნულ დონეზე, რათა გაუმჯობესდეს ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური ინდექსი, რომლის ხარისხზეცაა დამოკიდებული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების ჯანსაღი ფუნქციონირება.

წინამდებარე ნაშრომიც ეხება სწორედ როგორც ქართულ, ისე უცხოურ საბანკო პრაქტიკაში გავრცელებულ საბანკო კრედიტის დაზღვევას, რომლის მეშვეობითაც ბანკი აზღვევს საკუთარი მოვალის გადახდისუუნარობის რისკს და იმ საკითხს, თუ როგორ აისახება ეს დაზღვევა მასსა და კლიენტს შორის არსებულ ურთიერთობაზე, კერძოდ, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების დროს კონკრეტულად ვის მიმართ და რა თანმიმდევრობით წარმოეშევა ბანკს მოთხოვნის უფლება და აღჭურვილია თუ არა უფლებამოსილებით, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისა და მოვალის გარდაცვალების შემდეგ მოთხოვნა წაუყენოს მსესხებელს და მოითხოვოს ნარჩენი ვალდებულების სრულად დაფარვა.

უკანასკნელი მოვლენებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს ქართულმა სასამართლომ გერმანული სასამართლოსგან განსხვავებული სტანდარტი დააწესა, ამიტომ ნაშრომში განვითარებული მსჯელობები მთლიანად დაეყრდნობა გერმანულ-ქართული პრაქტიკის შედარებით ანალიზს.

ნაშრომის დასკვნით ნაწილებში უკვე დეტალურად იქნება შეფასებული როგორც გერმანული, ასევე ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება და შემოთავაზებული იქნება პრობლემის გადაჭრის გზა, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანსაღი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: კრედიტი, დაზღვევა, ინტერესი, ანაზღაურება.

1.სხვისი (მესამე პირის) ინტერესის დაზღვევა

ზოგადად იმისთვის, რომ მოხდეს ამა თუ იმ დაზღვევის სახის ზუსტი კლასიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია დადგინდეს თუ ვის სასარგებლოდ ხდება დაზღვევა. ამ თვალსაზრისით იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ პირველი პირისა (First party-insurance) და მესამე პირის სასარგებლოდ (Third party-insurance) დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებებს.²

სადაზღვევო ურთიერთობის კონსტრუქციაში ხელშეკრულების დამდები პირი ანუ დამზღვევი ყოველთვის არ წარმოადგენს დაზღვეულ პირს. ურთიერთობის კომპლექსურობიდან გამომდინარე შეიძლება წარმოიშვას სამმხრივი ურთიერთობა სამ პირს შორის, როდესაც დამზღვევი სადაზღვევო ხელშეკრულებაში დაზღვეულ პირად უთითებს მესამე პირს, რომელთანაც რეალიზდება ის რისკი, რაც ხელშეკრულებაში სადაზღვევო რისკად არის გათვალისწინებული. *ასეთ დროს მნიშვნელოვანია, რომ მხარეები კონტრაქტებოდნენ მესამე პირის ინტერესების სასარგებლოდ და არა პირიქით.*¹

მიუხედავად ამისა, სხვისი დაზღვევა ყოველთვის არ გულისხმობს, რომ დამზღვევი ანუ ხელშეკრულების დამდები მხარე აუცილებლად უნდა აზღვევდეს ამ მესამე პირის რეალურ ეკონომიკურ ინტერესს. ასეთი დაზღვევის ხელშეკრულების დროს დამზღვევი შესაძლოა აზღვევდეს არა მესამე პირის ეკონომიკურ ან/და სხვა ინტერესს, არამედ ხელშეკრულების დადების მთავარი მიზანი იყოს საკუთარი ინტერესის დაზღვევა ან კუმულაციურად ორივე ინტერესის დაზღვევა. ამ მიზეზით მესამე პირის დაზღვევა იყოფა სამ ტიპად: *სხვა პირის ინტერესის დაზღვევა (დაზღვეულად მითითებულია მესამე პირის ინტერესის დაზღვევა); საკუთარი ინტერესის დაზღვევა (დაზღვეულად მითითებულია დამზღვევის ინტერესის დაზღვევა; როგორც საკუთარი ისე სხვისი ინტერესის დაზღვევა.*²

ზოგადად მესამე პირის დაზღვევა ძირითადად ემსახურება დაზღვეულის, ანუ მესამე პირის ინტერესების უზრუნველყოფას, რაც გამომდინარეობს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორებიდან. ამავდროულად, ასეთი დაზღვევის გამოყენება კრედიტორს, მაგალითად საბანკო დაწესებულებას, რომელსაც გარკვეული ვადით გაცემული აქვს საბანკო კრედიტი, აღჭურავს შესაძლებლობით გაანეიტრალოს მოსალოდნელი და

² ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 836-ე მუხლის კომენტარი. იხ GCCC.TSU.GE - მუხლი 836 [15.04.2023]

¹ ირემაშვილი ქ., ჯანმრთელობის დაზღვევა, როგორც დასაქმებულის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი, „შრომის სამართალი“, თბ., 2011, 164.

² რუსიაშვილი გ. კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკო სამართლებრივ პრაქტიკაში, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, 5/2022, 2022, 3-4

სავარაუდო რისკი, რაც სხვა არაფერია თუ არა მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება ან შეუსრულებლობა. აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ასეთი რისკის განეიტრალება ხდება კრედიტორის ანუ გამსესხებლის მიერ საკუთარი ხარჯების გაღებით, დამოუკიდებლად იმისა, აქვს თუ არა მას უფლებები რისკის საგანზე. ამ ტიპის დაზღვევა მოიხსენიება როგორც „სხვა პირის სასარგებლოდ დაზღვევად“ და მისი რეგულირების ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 836-838 მუხლებში და სისტემურად ქონების დაზღვევისა და პასუხისმგებლობის დაზღვევის სიბრტყეში განიხილება.³ აქედან გამომდინარე, მესამე პირის სასარგებლოდ დაზღვევა სახეზეა, როცა პირი (დამზღვევი), რომელიც დებს მზღვეველთან სადაზღვევო ხელშეკრულებას საკუთარი სახელით, ფარავს ამით იმ რისკებს, რომლებიც ეხება სხვა პირს (დაზღვეულს).

მესამე პირის დაზღვევით დამზღვევი, რომელიც ფინანსურად ანეიტრალებს სხვა პირის პიროვნებასთან და ქონებრივ სიკეთეებთან დაკავშირებულ რისკებს, შეიძლება აზღვევდეს მხოლოდ საკუთარ ინტერესს ((თვითდაზღვევა) - მესამე პირის დაზღვევა საკუთარი ინტერესის უზრუნველსაყოფად.⁴ ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ მსგავს შემთხვევებში არგამოიყენება სსკ-ის 836-ე და მომდევნო მუხლები, ვინაიდან, ამ უკანასკნელთა გამოყენება გამოიწვევდა სამართლებრივ შეცდომას და ნორმათა რეგულირების ფარგლების უხეშ დარღვევას. კრედიტის დაზღვევა კი არის შემთხვევა როდესაც ბანკი მსესხებელთან ურთიერთობაში იყენებს მისი ინტერესის ერთგვარ დამცავ ბერკეტს, რაც ნიშნავს იმას, რომ სადაზღვევო შეთხვევის დადგომისას ბანკს დაზღვეული აქვს თავისი ინტერესები და მოთხოვნას სადაზღვევო კომპანიისგან დაიკმაყოფილებს.

ერთი შეხედვით ასეთი ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულება მესამე პირის ეკონომიკური ინტერესის უპირატესი დაცვის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვინაიდან, ხდება ისეთი შემთხვევების დაზღვევა, როგორიცაა მსესხებლის (მესამე პირის) გარდაცვალება (არაბრალებული), უეცარი ავადმყოფობა და ა.შ, რომლის დადგომის შემთხვევაშიც მსესხებელი თავისუფლდება ნარჩენი ვალის გადახდის ვალდებულებისგან და გადახდევინების ტვირთი მთლიანად გადადის სადაზღვევო კომპანიაზე. ცხადია, ეს მსესხებლისთვის/მისი მემკვიდრისთვის ნიშნავს არა ვალდებულების გაქრობას, არამედ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ასეთი ვალდებულებისგან გათავისუფლებას, შესაბამისად, ვალდებულება არსებობს, თუმცადა იცვლება მისი შემსრულებელი სუბიექტი.

³ იქვე, 4

⁴ იქვე, 4

რეალურად ასეთ ხელშეკრულებებს „მაცდურ“ ეფექტად გასდევს ხოლმე მესამე პირის ინტერესის უპირატესობა, ვინაიდან პრაქტიკულ სინამდვილეში ხელშეკრულების დამდები ბანკი ორიენტირებულია საკუთარი ინტერესის დაზღვევაზე, რომ მან გასესხებული თანხა დროულად მიიღოს და ხელი არ შეეშალოს საბანკო ურთიერთობაში მონაწილეობის კუთხით.

2. მონარჩენი ვალის დაზღვევა

მონარჩენი ვალის დაზღვევა არის სიცოცხლის დაზღვევის სპეციალური ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სესხის დავალიანების დაფარვას სიკვდილის, უმუშევრობის ან შრომისუნარობის შემთხვევაში.⁵ ჩვეულებრივ, პრაქტიკაში მონარჩენი ვალის დაზღვევის ხელშეკრულება ინტეგრირებულია სესხის ხელშეკრულების ფორმულარში, თუმცადა, შესაძლოა ეს უკანასკნელნი სსკ-ის 370-ე მუხლის მიზნებისთვის ერთმანეთთან დაკავშირებული გარიგებები გახდნენ. მას შემდეგ რაც ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევა დგება, მზღვეველი კომპანია ასრულებს ხელშეკრულების დამდების მიმართ სესხის შეუსრულებელ მოთხოვნას მსესხებლის ან მისი მემკვიდრის მაგივრად სსკ-ის 371-ე მუხლის შესაბამისად.⁶

პრაქტიკაში გამოიყოფა მონარჩენი ვალის რამდენიმე ვარიანტი, რომლებსაც მიუხედავად არსობრივი სხვაობისა, ერთმანეთთან საერთო აქვთ ერთი გარემოება - მსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის დაფარვის გრაფიკის დაცვა. იმ შემთხვევაში თუ მხარე თავს არიდებს ნაკისრი ვალდებულების ჯეროვან და დროულ შესრულებას სსკ-ის 361-ე მუხლის ფარგლებში და სწორედ ამის შემდეგ დგება სადაზღვევო შემთხვევა, ამ დროს მზღვეველი იღებს პასუხისმგებლობას, რომ შეასრულოს მხოლოდ სესხის გეგმიური მოთხოვნა და არა *ეფექტური სალდო*.⁷

ზოგადად, საბანკო პრაქტიკაში გამოიყოფა მონარჩენი ვალის რამდენიმე ალტერნატივა, ესენია: ნამდვილი ჯგუფური დაზღვევა (კოლექტიური დაზღვევა); არანამდვილი ჯგუფური დაზღვევა; ჯგუფური დაზღვევის ჩარჩო ხელშეკრულება. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

2.1 ნამდვილი ჯგუფური დაზღვევა

⁵ https://www.bafin.de/EN/Verbraucher/Versicherung/Produkte/Restschuld/restschuldversicherung_node_en.html [23/04/2023]

⁶ Knops, Restschuldversicherung im Verbraucherkredit, VersR 2006, 1455 ff

⁷ Graf von Westphalen/Emmerich/Kessler, Verbraucherkreditgesetz, 1991, § 4 Rn.

როგორც უკვე აღინიშნა ქართული პრაქტიკა მონარქიის ვალის დაზღვევის რამდენიმე აპრობირებულ ვარიანტს იცნობს, თუმცაღა თითოეული მათგანი იდება სსკ-ის 623-ე მუხლის გაგებით და მთლიანად წარმოადგენს მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებული სასესხო ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალებას. ასეთი ხელშეკრულების მხარეებად შეიძლება მოგვევლინოს ერთი მხრივ მსესხებელი და მეორე მხრივ გამსესხებელი დაწესებულება, რა დროსაც სწორედ ეს უკანასკნელი აზღვევს მსესხებელს სადაზღვევო კომპანიასთან. აღნიშნული შემთხვევა როგორც გერმანულ ისე ქართულ პრაქტიკაშიც „ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის“ შემადგენლობას ქმნის.

„ნამდვილი ჯგუფური დაზღვევისას“ ბანკი ჯგუფურად და აბსტრაქტულად აზღვევს ყველა მომავალ პოტენციურ მსესხებელს, შესაბამისად, ხელშეკრულების დამდებ პირად გვევლინება ბანკი, ხოლო დაზღვეულს (მსესხებელს) მერე უერთებს დაზღვეული პირის სტატუსით.

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ინსტიტუტი ქართულ კანონმდებლობაში ექსპლიციტურად არ არის რეგულირებული და ძირითადად გერმანული მიდგომების რეცეფციას წარმოადგენს, ამ ფონზე, აღიარებულია შეხედულება, რომ *ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის დროს, მზღვეველის კონსტრაქტის ბანკი აზღვევს მხოლოდ საკუთარ ინტერესებს, მსესხებლის მიერ კი გარკვეული სარგებლის მიღება მხოლოდ თანმდევ შედეგს წარმოადგენს ბანკის ინტერესების დაზღვევისას*.⁸ აქედან გამომდინარე, ინსტიტუტის გამოყენების მთავარ ცენტრში ექცევა ბანკის ინტერესები, რომ გამსესხებლის გარდაცვალების შედეგის დაზღვევით მან გაანეიტრალოს ვადამოსული ვალდებულების დაფარვის რისკები. ცხადია, მსგავსი ურთერთობის დროს არასწორია ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულების იმგვარად განმარტება, რომ თითქოს ამ უკანასკნელს საბანკო კრედიტის დაზღვევის გამოყენებით ეკვეცება ის პოზიციები, რაც დაზღვევის გამოყენებლობის შემთხვევაში ექნებოდა. ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება ბანკს არ აკისრებს მოვალეობას ვალდებულების შესრულებისთვის წინსწრებად მიმართოს სადაზღვევო კომპანიას და მხოლოდ მასთან დავის შემდეგ მიეცეს საშუალება ვადამოსული ვალდებულება მსესხებლისგან/მისი მემკვიდრისგან დაიკმაყოფილოს. ასეთი გარემოების არსებობის დაშვებაც კი, ცხადია, წინააღმდეგობაში მოვა საბანკო კრედიტის დაზღვევის არსთან და სრულიად მოუქნელს გახდის მის რეალიზებას პრაქტიკაში, ვინაიდან არც ერთ ბანკსა თუ საკრედიტო დაწესებულებას აღარ მოუწდება ისეთი „დამცავი“ ბერკეტის გამოყენება, რომელიც რეალურად მის ინტერესებს გამოუთხრის ძირს.

⁸ *რუსიაშვილი გ.* კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკო სამართლებრივ პრაქტიკაში. „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, 5/2022, 2022, 7

აღნიშნულ საკითხზე უფრო ფართო მსჯელობა იქნება განვითარებული ნაშრომის შემდეგ ნაწილებში.

ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის გამოყენების შემთხვევაში მნიშვნელოვნია რომ ინსტიტუტის სამართლებრივი შეფასების დროს არ იქნეს გამოყენებული სსკ-ის 836 მუხლი, რაც მესამე პირის სასარგებლოდ დაზღვევას გულისხმობს. ამ მუხლის მიზნებში მთლიანად მოქცეულია მესამე პირების ინტერესის დაცვის უპირატესობა, რასაც ნაკლებად ითვლისწინებს ნამდვილი ჯგუფური დაზღვევა. აქ მხოლოდ კრედიტის გამცემი დაწესებულება იღებს სარგებელს და მხოლოდ მის რისკს ანეიტრალებს, რომ ვალდებულება მაინც შესრულდება მიუხედავად შემსრულებელი სუბიექტისა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბანკის ინტერესთა დაცულობის უპირატესობა აუცილებლად შეცნობადი უნდა იყოს მსესხებლისთვის და ასეთ პირობაზე წასვლა მისი გაცხადებული და გაცნობიერებული ნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ქართულ საბანკო პრაქტიკაში ხშირად ვაწყდებით ისეთ ხელშეკრულებებს, სადაც ბანკის წარმომადგენლებს ხელშეკრულებაში მთლიანად გადმოწერილი აქვთ სამოქალაქო კოდექსის ნორმები. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ აწესებს შეზღუდვებს ხელშეკრულების ფორმატისა და სტრუქტურის მიმართ, ასეთი ტიპის ხელშეკრულებები სხვა არაფერია თუ არა მსესხებლის აღქმადობის ხელოვნური „დათრგუნვის“ მცდელობა, რომ ამ უკანასკნელმა ბოლომდე ვერ გააცნობიეროს ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული სარგებლის/ზიანის ოდენობა და გაუცნობიერებლად შევიდეს მისთვის ნაკლებად აღსაქმელ ურთიერთობაში.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის ინსტიტუტის წყალობით ბანკები და სადაზღვევო კომპანიები ერთმანეთთან გარკვეულწილად სიმბიოზურ ურთიერთობაში შედიან, ვინაიდან ბანკი ამ უკანასკნელთან შეთანხმების საფუძველზე იღებს ვალდებულებას, რომ მაგალითად წელიწადის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიაში მიიყვანს ასეულობით ან ათასეულობით კლიენტს, ხოლო სადაზღვევო კომპანია ბანკს გაუწევს შეღავათიან და სასარგებლო მომსახურებას.

2.2. არანამდვილი ჯგუფური დაზღვევა

მონარჩენი ვალის დაზღვევის კიდევ ერთ სახეს წარმოადგენს არანამდვილი ჯგუფური დაზღვევა, რომლის დროსაც *დამზღვევ პირთა მყარად განსაზღვრული წრე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მხოლოდ განსაზღვრული აბსტრაქტული ნიშნებით არის დადგენილი და*

კონკრეტული დაზღვეულის ჩართვა შეიძლება მოხდეს ჯგუფური დაზღვევის ხელშეკრულების მთლიანი მიმდინარეობისას.⁹

მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც შეიძლება გამოიყოს ნამდვილ ჯგუფურ დაზღვევასთან შედარების კუთხით არის ის, რომ არანამდვილი დაზღვევის დროს იდება იმდენი სადაზღვევო ხელშეკრულება, რამდენი დამზღვევიც არის სახეზე ან სამომავლოდ რამდენის ჩართვაც უნდა მოხდეს ურთიერთობაში.

2.3 ჯგუფური დაზღვევის ჩარჩო-ხელშეკრულება

ჯგუფური დაზღვევის ჩარჩო-ხელშეკრულება თავისი არსით ქმნის წინარე სადაზღვევო ხელშეკრულების ნაწილის შემადგენლობას დამზღვევსა და ჯგუფის „თავს“ შორის, რომელიც ადგენს ჩარჩო-რეგულაციებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს მომავალში დასადები სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის ჯგუფის წევრებს შორის, რაც თავის მხრივ კონკრეტულ ეტაპზე არ წარმოშობს სადაზღვევო ურთიერთობას.¹⁰ ამ ჩარჩო-ხელშეკრულების მეორე ნაწილი, რომელიც მოიცავს შესაბამისი სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვას, მოქმედებას იწყებს უშუალოდ ურთიერთობის მონაწილე მხარეებს შორის, თუმცაღა მისი მიჩნევა სადაზღვევო ხელშეკრულებად არასწორია არსიდან გამომდინარე.

არის შემთხვევები, როდესაც სადაზღვევო ურთიერთობაში ბანკი არ იძენს მხარის სტატუსს და ასეთ როლში გვევლინება თვით გამსესხებელი, რომელიც უკვე შესულია სასესხო ვალდებულებაში ბანკთან, თუმცაღა ამ უკანასკნელს კერძო ავტონომიის საფუძველზე თავად სურს კრედიტის დაზღვევა ბანკისგან დამოუკიდებლად. ასეთ მომენტში ბანკს მოთხოვნის მოპოვების შესაძლებლობა უჩნდება სამ შემთხვევაში: *თუ მოხდება მსესხებელთან შეთანხმებული მოთხოვნის წინასწარ დათმობა; თუ მას, როგორც მესამე პირს მიენიჭება მოთხოვნა; თუ მას მიენიჭება „ფულის ამოღების“ ე.ი სხვისი მოთხოვნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხის დატოვების უფლებამოსილება სსკ-ის 373-ე მუხლის ფარგლებში.*¹¹

3. მზღვევლის მიმართ სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება და ვალდებულება

⁹ *რუსიაშვილი გ.*, კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, 5/2022, 2022. 6

¹⁰ *იქვე, 6*

¹¹ *Hubrich*, Die hauptsächlichen Formen der Gruppenlebensversicherung und das Verbot der günstigungsverträge, Königsberg 1928, 45

3.1. მოთხოვნის წარმოშობა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევისას

მაშინ როდესაც დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია მესამე პირის სასარგებლოდ, ე.ი სხვისი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფით, გამოიყენება სსკ-ის 837-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რითაც მზღვეველის მიმართ მოთხოვნის უფლებით აღჭურვილი პირი ხდება დაზღვეული, თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ უფლების სასამართლო წესით გამოყენება ხელეწიფება როგორც დაზღვეულს ისე დამზღვევესაც, ოღონდ ამ უკანასკნელმა უნდა მიმართოს საკუთარი სახელით და უზრუნველყოს სხვისი ინტერესების დაცვა.¹² ასეთ დროს მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება მთლიანად ექცევა მინდობით საკუთრებად, რაც აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს დაზღვეულს, მაგრამ თუ სადაზღვევო ხელშეკრულებით ხდება როგორც სხვისი, ასევე სხვისი დაცვის უზრუნველყოფა, მაშინ პროცესის წარმოების შედეგად მიღებული ანაზღაურება შეიძლება დაიტოვოს დამზღვევმა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მესამე პირების სასარგებლოდ დაზღვევის დროს სსკ-ის 349-ე და მომდევნო მუხლები მოდიფიცირდება ხოლმე 836-ე და 838-ე მუხლებში და ურთიერთობაც სწორედ აღიშნულ მუხლთა რეგულირების ფარგლებში ფასდება. ასეთი მოდიფიცირების მთავარ მიზანს წარმოადგენს *დამზღვევზე გარკვეული ზეწოლის განხორციელება, რომ მან პირველ რიგში დაზღვეულის მიმართ განახორციელოს მოთხოვნები შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე.*¹³ ასეთ დროს კანონმდებლის მთავარი მიზანია, რომ დამზღვევი ედავოს ჯერ თავის კონტრაქტს დამზღვევს და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს სადაზღვევოს. საინტერესოა, თუ რა გარემოებამ განაპირობა კანონმდებლის მიერ ასეთი სტანდარტის დაწესება.

ზოგადად, როგორც მატერიალურ, ასევე პროცესუალურ სამართალში აღიარებული პრინციპის თანახმად, *უფლების განხორციელებაზე ზრუნვა ევალება იმ პირს, რომლის ინტერესებშიც ის არის და, გარდა ამისა, ვისთვისაც ეს უფრო მარტივად არის შესაძლებელი.*¹⁴ აქედან გამომდინარე, დაზღვეული/მისი მემკვიდრე გვევლინება ისეთ სუბიექტად, რომელიც უშუალო კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან, ამასთან, სრული სიზუსტით ფლობს ინფორმაციას მდგომარეობის შესახებ და ყველაზე ეფექტიანად შეუძლია კრედიტორის დაკმაყოფილება.

¹² BGH NJW 2017, 2466 Rn. 13.

¹³ *რუსიაშვილი გ.*, კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, 5/2022, 2022. 8

¹⁴ იქვე.8

3.2 მოთხოვნის წარმოშობა საკუთარი ინტერესის დაზღვევის დროს

დამზღვევის ინტერესის (საკუთარი ინტერესის) დაზღვევისას, დამზღვევს აღარ აქვს ვალდებულება აუცილებლად თავად უჩივლოს მზღვეველს. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დამზღვევი (ბანკი) აღჭურვილია შესაძლებლობით თავისი სურვილისამებრ აირჩიოს მხარე- დაზღვეულის თუ მზღვეველის მიმართ წამოაყენებს ვადებულების შესრულების მოთხოვნას დავის ფარგლებში.

ცხადია, კანონმდებლის მიერ მსგავსი ნების კონსტრუირების ამოსავალი წერტილია თავად ინსტიტუტის პრაქტიკული გამოყენების არსი. დაზღვეულსა და დამზღვევს შორის ურთიერთობის ცენტრში დგას სწორედ დამზღვევის ინტერესი და ეს ურთიერთობაც მისი დაცვისა და უზრუნველყოფის მიზნის გარშემო კონსტრუირდება, ანუ მხარეთა შორის კონკლუდენტურად შეთანხმებულად ითვლება.¹⁵

კრედიტის დაზღვევის ინსტიტუტის გამოყენების მთავარი და უპირველესი მიზანია კრედიტორის ანუ ბანკის ინტერესების დაცვა და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, შესაბამისად, სრულიად ლოგიკური და სამართლებრივად სწორიცაა, რომ დამზღვევს ჰქონდეს არჩევანი ვის უჩივლოს პირველი და ვისგან მოითხოვოს ინტერესის დაკმაყოფილება. ასეთ დროს ბანკის მთავარი მიზანია დამატებით გაიმყაროს და გაიფართოვოს თავისი სამართლებრივი პოზიციები, *კერძოდ შეიძინოს სადაზღვევო სახით დამატებითი მოვალე და არ დაკარგოს წინა ძირითადი მოვალე*.¹⁶ ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ თავად საბანკო კრედიტის დაზღვევის ინსტიტუტს დაეკარგებოდა აზრი, რადგან არც ერთი ბანკი არ გამოიყენებს ისეთ ბერკეტს რომელიც არ უზრუნველყოფს მისი ინტერესების დაცვას.

ზემოთქმულის გასამყარებლად, თავისუფლად შეიძლება იმ არგუმენტის მოშველიება, რომ თუ ბანკს დაევალებოდა უპერსპექტივო დავის წარმოება სადაზღვევოსთან, რაც ქართული სასამართლოების გადატვირთულობის გამო საკმაოდ დიდ დროს წაიღებდა, რეალურად იარსებებდა საფრთხე, რომ მოვალის მიმართ რეალური მოთხოვნა ხანდაზმული გამხდარიყო და დაეკარგა როგორც რაიმეს მიღების შანსი, ისე თავად მსესხებელიც.

¹⁵ იქვე 10.

¹⁶ იქვე 10.

4. ქართულ-გერმანული სასამართლო პრაქტიკის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

ფაქტი, რომ საბანკო კრედიტის დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმები ექსპლიციტურად არ არის დაფიქსირებული სამოქალაქო კოდექსში, პრაქტიკაში წარმოშობს მრავალ ბუნდოვანებას, თუმცა მთავარი კითხვა რაც ჩნდება აღნიშნული ინსტიტუტის მიმართ არის შემდეგი: შეიძლება თუ არა დაეკისროს ბანკს ვალდებულება, ჯერ სადაზღვევო კომპანიისგან სცადოს თავისი ინტერესების დაკმაყოფილება და მხოლოდ ამის მერე მოითხოვოს ნარჩენი ვალდებულების შესრულება მსესხებლისგან/მისი მემკვიდრისგან. საერთაშორისო გერმანული პრაქტიკა ამ შეკითხვაზე ცალსახა უარყოფით პასუხს იძლევა და იმპერატიულად ამბობს, რომ ბანკი არ არის ვალდებული წინსწრებით უჩივლოს სადაზღვევოს და მხოლოდ ამ საფეხურის გავლის შემდეგ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება გამსესხებლისგან ან მისი მემკვიდრისგან.

ამ კონსტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გერმანიის სასამართლოს გადაწყვეტილება.¹⁷ საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დგინდებოდა, რომ 1972 წელს მოპასუხის ქვრივმა დედამ დადო სესხის ხელშეკრულება ბანკთან 9800 გერმანული მარკის ოდენობით. ამავედროულად, ამ უკანასკნელმა გამოიყენა კრედიტის დაზღვევის ინსტიტუტიც, რომლის სადაზღვევო პრემიის თანხა - 746 გერმანული მარკა, დაემატა სესხის თანხას. მონარჩენი ვალის დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ „განმცხადებელი თანახმაა რომ საკუთარი სახელით მოითხოვს მონარჩენი ვალის დაზღვევა და მისგან გამომდინარე შესრულების გადახდა მოხდება დამზღვევისათვის”.¹⁸ გარდა ამისა, სადაზღვევო ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო შეკითხვები ბოლო 5 წლის განმავლობაში გადატანილ დაავადებებზე, გაწეულ მკურნალობის კურსსა და ამჟამინდელი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, რაზედაც მოსარჩელის დედამ უარყოფითი პასუხი გასცა და ხელშეკრულებაში დააფაქსირა, რომ მას არ ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები. მოპასუხის მიერ დამზღვევთან დადებული ჩარჩო-ხელშეკრულების მიხედვით კი კონკრეტული სადაზღვევო ფირმა იყო დამზღვევ სუბიექტად აღნიშნული, ხოლო მსესხებელი კი დაზღვეულ პირად.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფდა რომ დაზღვეული პირი 1974 წელს გარდაიცვალა და ამ სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე მას

¹⁷ BGH, Urteil vom 7. 12. 1978 - III ZR 171/76 (KG)

¹⁸ იქვე

გადახდილი ჰქონდა 8479,90 მარკა, ხოლო მონარჩენი ვალი ყველა ხარჯის ჩათვლით შეადგენდა 5424,25 მარკას. მოსარჩელის მიერ დავის წარმოებაც მოპასუხის მისამართით სწორედ ამ თანხაზე დაიწყო.

თავდაპირველად მოსარჩელემ მიმართა მზღვეველ ფირმას აღნიშნული თანხის გადახდის მიზნით, თუმცაღა მისგან უარი მიიღო იმ მიზეზით რომ მოპასუხის დედამ ხელშეკრულების დადებისას განზრახ დაფარა ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომ ის გადიოდა ხანგრძლივ მკურნაობის კურსს დაავადების გამო და ამიტომ მისი გარდაცვალება უკვე აღარ ექცეოდა სადაზღვევო შემთხვევის ფარგლებში, რაც თავის მხრივ სადაზღვევო ფირმის პასუხისმგებლობასაც გამორიცხავდა თანხის გადახდასთან დაკავშირებით. ამის გამო მოსარჩელე იძულებული გახდა მოთხოვნის დაკმაყოფილება მოეთხოვა მსესხებლის მემკვიდრისგან.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, აპელაციაც წარუმატებელი აღმოჩნდა და მან მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის მსჯელობა. სააპელაციომ თავისი მსჯელობა დააყრდნო კეთილსინდისიერების პრინციპს და მისგან გამომდინარე უარყო მოპასუხის პასუხისმგებლობის საკითხი. საბოლოო ჯამში კი სააპელაციომ ჩამოაყალიბა სტანდარტი, რომ *ყველა პირი, ვისაც ეკისრებოდა სესხიდან გამომდინარე ვალდებულება მსესხებლის ნაადრევი სიკვდილის გამო, მისგან თავისუფლდებოდა*.¹⁹ აქედან გამომდინარე, სასამართლომ უმნიშვნელოდ ჩათვალა კრედიტორის ინტერესი. უმნიშვნელო იყო რეალურად დაფარავდა თუ არა მზღვეველი ამ თანხას, რაც ცალსახად არასწორი იყო და სწორედ ეს პოზიცია დაასაბუთა მკაფიოდ საკასაციო სასამართლომაც თავის მსჯელობაში.

გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, წინა ინსტანციის ეს მსჯელობა იყო არასწორი, უპირველესად იმის გამო, რომ სააპელაციომ არასწორად და ხარვეზიანად განმარტა როგორც სესხის, ისე დაზღვევის ხელშეკრულებები, რადგან სადაზღვევო ხელშეკრულებიდან ნამდვილად არ იკვეთებოდა ისეთი პირობა, რომელიც განსაზღვრავდა სესხის ვალდებულების პატიებას (რაც სამართლებრივი ნონსენსია), მოსარჩელის ინტერესი კი სესხიდან მოთხოვნის გაქარწყლებისკენ იყო მიმართული, რომ მოთხოვნა გაქარწყლებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსესხებლის გარდაცვალების შემდეგ მოხდებოდა მისი დაკმაყოფილება მონარჩენი

¹⁹ *რუსიაშვილი გ.*, კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, 5/2022, 2022, 12

დაზღვევის ხელშეკრულებიდან. უმაღლესმა ინსტანციამ ყურადღება გაამახვილა ერთ ფრიად მნიშვნელოვან მომენტზე, თუ კონკრეტულად როდის უნდა მოხდეს სადაზღვევოს მიერ თანხის გადახდა. ცხადია, სადაზღვევოს ასეთი მოთხოვნა წარმოეშება მხოლოდ მაშინ თუ დაზღვევის ხელშეკრულებით დამზღვევი მას მიაწვდის სწორ ინფორმაციას, რათა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავდეს სადაზღვევო შემთხვევის გავრცელების ფარგლები და დადგომის შემთხვევაში სადაზღვევომ იკისროს პასუხისმგებლობა გადახდაზე, რაც საქმის ფარგლებში დაირღვა, ამიტომ, მოსარჩელეს არ უნდა შეექმნა იმის მოლოდინი, რომ სადაზღვევო აუცილებლად დაფარავდა არსებულ ხარჯებს.

სასამართლომ არსებითად გაამახვილა ყურადღება გამსესხებლის ინტერესებზე და განმარტა, რომ მონარჩენი ვალის დაზღვევის ხელშეკრულების დადებას ეს უკანასკნელი არ უნდა ჩააყენოს უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ის იქნებოდა ამ ხელშეკრულების დადების გარეშე, როცა მოვალედ ეყოლებოდა მსესხებელი/მისი მემკვიდრე. აქედან გამომდინარე, *დამზღვევ ბანკს ეკისრება მხოლოდ იმის ვალდებულება რომ დაზღვეული მსესხებლის მემკვიდრე ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში რომ მას ჰქონდეს შესაძლებლობა თავად განახორციელოს მოთხოვნა მზღვევლის წინააღმდეგ.*²⁰ ბანკმა უნდა მოთხოვოს მსესხებლის მემკვიდრეს ვალდებულების ბოლომდე შესრულება მოთხოვნის დათმობის სანაცვლოდ, რაც გულისმობს იმას, რომ გამსესხებლის მემკვიდრეს ექნება უფლება ედავოს სადაზღვევო კომპანიას, თუ მიიჩნევს რომ ამ უკანასკნელმა ყოველგვარი გონივრული საფუძვლის გარეშე უგულვებელყო ნაკისრი ვალდებულების შესრულება და არ გადაიხდა თანხა. უმაღლესმა ინსტანციამაც საქმე სწორედ ამ კონკრეტული ფაქტის მოკვლევის მიზნით დაუბრუნა, რათა გაეგო მოხდა თუ არა ასეთი დათმობის შეთავაზება კრედიტორის მხრიდან.

ამ გადაწყვეტილებით გერმანულმა სასამართლომ საბანკო კრედიტის დაზღვევის ინსტიტუტის მიმართ ჩამოაყალიბა იმპერატიული სახელმძღვანელო პრინციპი, რომლის თანახმადაც მონარჩენი ვალის დაზღვევამ არ უნდა გააუარესოს ბანკის მდგომარეობა და არ უნდა შეუზღუდოს უფლება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში მიმართოს მსესხებელს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის დათმობის გზით.

²⁰ იქვე, 13

მიუხედავად ამ ამოსავალი პრინციპისა, რამაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საბანკო კრედიტის დაზღვევის არსს, ქართულმა სასამართლომ პირველი ინსტანციით უარყო ეს მიდგომა და რადიკალურად განსხვავებული მსჯელობა განავითარა უკანასკნელ პერიოდში განხილულ საქმეზე,²¹ რაც ცხარე კრიტიკის ობიექტად იქცა როგორც ქართველ მეცნიერ-იურისტთა, ისე პრაქტიკოს-იურისტთა წრეში.

საქმე ეხებოდა ბანკსა და ფიზიკურ პირს შორის არსებულ სასესხო ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც მსესხებელს ბანკისგან გადაეცა გარკვეული ოდენობის თანხა კრედიტის სახით, რაზედაც დაიდო ასევე ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის ხელშეკრულება. აღნიშნულის ფარგლებში გაიწერა თუ რა შემთხვევებზე შესაძლოა გავრცელებულიყო სადაზღვევოს მიერ თანხის გადახდის პასუხისმგებლობა. ცხადია სადაზღვევო კომპანიამ თავის მხრივ გაწერა გამონაკლისები, მათ შორის ისეთი მდგომარეობები რომლებიც განზრახ ქმნიდა სადაზღვევო შემთხვევის შექმნის შემადგენლობას და გამორიცხავდა კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხს.

საბანკო კრედიტის დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რასაც მოჰყვა მსესხებლის (დაზღვეული პირის) გარდაცვალება. ბანკმა მოისურვა ნარჩენი ვალდებულების დაფარვა, რაზეც სადაზღვევო კომპანიისგან სასტიკი უარი მიიღო იმ მიზეზით, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდა ეჭვი პირის მიერ თვითმკვლელობაზე, რაც არ მიესადაგებოდა ხელშეკრულებაში მოცემულ პირობებს, ამიტომ მთლიანად იხსნიდა პასუხისმგებლობის ნაწილს. ცხადია, ბანკმა მიმართა მსესხებლის მემკვიდრეებს და მათ მოთხოვნის დათმობის სანაცვლოდ მოსთხოვა ნარჩენი ვალდებულების შესრულება.

აღნიშნულთან დავშირებით პირველმა ინსტანციამ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე ბანკის მოთხოვნა იმ მიზეზით, რომ სასამართლოს აზრით ბანკი ვალდებული იყო ჯერ სადაზღვევო კომპანიისგან სრულად ეცადა საკუთარი ინტერესებს დაკმაყოფილება სამართლებრივი გზით და მხოლოდ ამის შემდეგ წაეყენებინა მსესხებლის მემკვიდრისთვის მოთხოვნა. ასეთი დასკვნების განვითარებით სასამართლომ არამართო უგულებელყო საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და დაარღვია საკანონმდებლო მოთხოვნები, არამედ ეჭვქვეშ დააყენა კერძო ავტონომიის პრინციპის არსებობაც, რითაც დიდი ჩრდილი მიაყენა ჯანსაღი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ზოგადად, სასამართლოს როლია

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1113-2018

რომ საქმის წარმოების პროცესში უზრუნველყოს მხარეთა ბალანსის შექმნა, თუმცადა ასეთი ბალანსის შექმნის მცდელობამ საფუძველი არ უნდა ჩაუყაროს ახალი და ყოვლად უვარგისი სამართლის შექმნას. სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილების ფარგლებში კი სრულიად საპირისპიროდ განმარტა საბანკო კრედიტის დაზღვევის ინსტიტუტი და უპირატესობა მიანიჭა მსესხებლის მემკვიდრის ინტერესებს, რომლის დაცვის ვალდებულება თავად საბანკო კრედიტის დაზღვევის ინსტიტუტს არ აქვს.

გერმანული სასამართლოების მიერ 70-იან წლებში დადგენილი სტანდარტი კიდევ ერთხელ მკაფიოდ განმტკიცდა დიუსელდორფის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს 2019 წლის გადაწყვეტილებაშიც, სადაც სასამართლომ განაცხადა, რომ *მსესხებლის მიერთება ბანკის მიერ დადებულ ჯგუფურ დაზღვევის ხელშეკრულებასთან არ წარმოუშობს მას უფლებას, მოსთხოვოს ბანკს სადაზღვევოს მიმართ წინმსწრებად ჩივილი კრედიტის მონარჩენი ნაწილის გადახდის მოთხოვნამდე.*²² ამ ფონზე კი ქართულმა სასამართლომ ბანკს უთხრა, რომ ბოლომდე უნდა გაეგრძელებინა უპერსპექტივო დავა სადაზღვევო კომპანიასთან, რა დროსაც მეტად სავარაუდოა გასულიყო სესხის ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა და ბანკი დარჩენილიყო ყოველგვარი საფასურის მიღების გარეშე, როგორც თავად სადაზღვევო კომპანიისგან, ისე მსესხებლისგან. რომც დავუშვათ 3 წელში საქმის განხილვის მოსწრების შესაძლებლობა, (რაც ფანტაზიის სფერო უფროა ქართული სასამართლოების გადატვირთულობიდან გამომდინარე), ვიღებთ მოცემულობას, რომ სადაზღვევო კომპანიასთან დავის წაგების შემთხვევაში ბანკი მიდის მსესხებელთან/მის მემკვიდრესთან და ითხოვს არამართო ნარჩენი ვალდებულების დაფარვას, არამედ ყველა იმ ხარჯის გადახდას რაც გასწია პროცესის მიმდინარეობისას. ეს ყველაფერი კი ცალსახად განუზომელ ზიანს აყენებს მსესხებელს და მკვეთრად აუარესებს მის ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ დროს კი ქრება სასამართლოს მთავარი ფუნქცია - მხარეებს შორის ბალანსის უზრუნველყოფა და შედეგად ვიღებთ კაბალურ სიტუაციას, სადაც არც ბანკის და არც მსესხებლის ინტერესები არ არის დაცული.

დასკვნა

როგორც ზემოთ მოხმობილმა მსჯელობებმა ცხადყო საბანკო კრედიტის დაზღვევა, როგორც ინსტიტუტი, საკმაოდ პრობლემურია ქართულ

²² OLG Düsseldorf, Urteil vom 30. 11. 2018 (I-7 U 10/18)

რეალობაში, რადგან მას აკლია ის სიცხადე, რომელიც შეავსებდა კანონმდებლობაში გაჩენილ სიცარიელებს. მიუხედავად ამისა, ის საკმაოდ მოთხოვნადი ინსტიტუტია საბანკო სექტორში, თუმცა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უკვე ეჭვებს აჩენს მის სარგებლიანობასთან დაკავშირებით.

ცხადია სასამართლოს მიერ ამგვარი პრაქტიკის დადგენა სამომავლოდ მთლიანად გამოუთხრის ძირს ინსტიტუტის არსს და მოსკობს მის პრაქტიკულ გამოყენებასაც, რადგან ბანკები აღარ მოისურვებენ ისეთ ურთიერთობაში შესვლას რომელიც დიდი ალბათობით დააზიანებს მათ ეკონომიკურ მიზნებს.

საბანკო კრედიტის არსიდან გამომდინარე, არასწორია პრაქტიკის იმგვარი განვითარება რომ კრედიტორის მაგივრად მსესხებელი აღმოჩნდეს პრივილეგირებულ მდგომარეობაში. დღესდღეობით, კი ამის ნიშნები რეალურად არსებობს, რომლის გამოსწორების ერთადერთი საშუალებაცაა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ინსტიტუტის არსის ჯანსაღი შეფასება. კანონები იქმნება იმისთვის, რომ უზრუნველყოს საზოგადოებაში გარკვეული ბალანსის უზრუნველყოფა და არა საზოგადოების წევრების ემოციური დაკმაყოფილება.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა :

1. *ირემაშვილი ქ.*, ჯანმრთელობის დაზღვევა, როგორც დასაქმებულის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი, კრებულში: შრომის სამართალი., *ბაალიშვილი ვ.* (რედ.), I, თბილისი, 2011;
2. *რუსიაშვილი გ.*, კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, 5/2022;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 836-ე მუხლის კომენტარი. იხ GCCC.TSU.GE - მუხლი 836
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1113-2018
5. Hubrich, Die hauptsächlichen Formen der Gruppenlebensversicherung und das Verbot der egünstigungsverträge, Königsberg 1928
6. BGH, Urteil vom 7. 12. 1978 - III ZR 171/76 (KG)
7. Graf von Westphalen/Emmerich/Kessler, Verbrauchercreditgesetz, 1991, § 4 Rn.

8. *Knops*, Restschuldversicherung im Verbraucherkredit, VersR 2006, 1455 ff
9. BGH NJW 2017, 2466 Rn. 13.
10. OLG Düsseldorf, Urteil vom 30. 11. 2018 (I-7 U 10/18)
11. Langheid/Rixecker/Rixecker, VVG, 6. Aufl., 2019, § 43 Rn. 4.
12. Langheid/Rixecker/Rixecker, VVG, 6. Aufl., 2019, § 43 Rn. 4
13. https://www.bafin.de/EN/Verbraucher/Versicherung/Produkte/Restschuld/restschuldversicherung_node_en.html

Mariam Rubashvili*

Anotacion:

Within the bounds of the presented article, we will talk about one of the most essential, although very problematic issues in the world of civil law, such as credit insurance. The lack of legal basis has given many (including incorrect) views in Georgian practice, which has laid the foundation for the formation of unhealthy practices. Based on the fact, the German system has already been a unified approach to credit insurance since the 70s but it seems that it has become a very difficult task for the Georgian legislator to adapt this standard to national challenges, which was primarily reflected in the misunderstanding and use of credit insurance as an institution.

Georgian legislation does not contain precise definitions of bank credit insurance, which can be caused by many factors, however, the reality that the institution operates in practice is characterized by a high utility for the financial sector, although the gaps in the law are caused by healthy practices.

For the future activity of the institute, it is important to correctly identify the problems at an early stage based on scientific research and immediately search for ways to solve them. Thus, to achieve the main goal of the article, a systematic and comparative-legal method of research will be used, thereby contrasting the Georgian and German practices about credit insurance.

Basic words: Credit, insurance, interest, compensation

* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, LL.B